



MES 6 21 0000366959



16/04/2021

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში 2021 წლის 2 აპრილს.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/84865543576?pwd=cjBqMjNPd3p2SVBVUGEyMis3TDRQZz09>

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);

მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის-„კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი, (საბჭოს მდივანი);

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

თორნიკე ჯობავა - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

ნიკოლოზ მესხიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

თამაზ ბახტაძე - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

თორნიკე თოხაძე - ა(ა)იპ -საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტი - საბჭოს წევრი;

ქრისტინე მეფარიშვილი - სსიპ-აწარმოე საქართველოში ინვესტიციების დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენელი:

ა(ა)იპ განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრი:

ნათია ნამიჭიიშვილი - აღმასრულებელი დირექტორი,

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტი:

დარეჯან კვატაშიძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა, სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ, ასევე, შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ, რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. ა(ა)იპ განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრისთვის - „ფინანსური ანგარიშგების მომზადება“ /01005/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

წარმდგენი: დარეჯან კვატაშიძე, მაცვალა დარსანიძე

სხდომის დასაწყისში, დაწესებულების წარმომადგენლები საბჭოს სხდომას არ ესწრებოდნენ ტექნიკური ხარვეზის შედეგად არასწორი ინფორმირების გამო და საბჭოს მოგვიანებით შემოუერთდა დაწესებულების წარმომადგენელი - ნათია ნამიჭეიშვილი.

1. ა(ა)იპ განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრისთვის - „ფინანსური ანგარიშგების მომზადება“ /01005/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა ან საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელი დასაწყისში არ ესწრებოდა სხდომას, ამდენად, მოგვიანებით თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

დასკვნის პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა მაცვალა დარსანიძემ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას ადრეც ჰქონდა შემოტანილი განაცხადი, თუმცა მაშინ ვერ მოიპოვა პროგრამის განხორციელების უფლება. ახალ განაცხადში პროგრამის სახელწოდება შეცვალა და ამჟამად პროგრამის დასახელებაა „ფინანსური ანგარიშგების მომზადება“. პროგრამის სახე არის პროფესიული მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს დონე - მე-5, პროგრამის ხანგრძლივობა - 7 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა ჯგუფში -20, პროგრამის განხორციელების ადგილია ქ. ქუთაისი, გრიშაშვილის მე-4 შესახვევი №8. პროგრამა აგებულია თეორიული და პრაქტიკული კომპონენტით. თეორიული კომპონენტის შემთხვევაში გამოყენებულია ინტერაქციული ლექცია და პრაქტიკული კომპონენტი წარმოდგენილია პრაქტიკული სავარჯიშოთი.

მაცვალა დარსანიძემ ისაუბრა პირველი სტანდარტის შესახებ:

ქვესტანდარტი 1.1

პროგრამის საჭიროება დასაბუთებულია პროფესიული მომზადების პროგრამის შემუშავება-განხორციელების შესახებ დაწესებულების გამოცდილებით, რაც გამოვლინდა როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებით, ასევე გასაუბრების შედეგებით.

შემუშავების საფუძველი - პროფესიული მომზადების პროგრამის შემუშავება-განხორციელების შესახებ დაწესებულების გამოცდილება და პროფესიული სწავლების პრაქტიკა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით.

შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად ლოგიკურად ასახულია პიროვნული თუ პროფესიული განვითარების შესაძლებლობები

ქვესტანდარტი 1.2

პროგრამის სახელწოდება სრულად ვერ ასახავს პროგრამის შინაარსს.

პროგრამის სახელწოდებაა „ფინანსური ანგარიშგების მომზადება“, ხოლო პროგრამის სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, შინაარსი ეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა: დანახარჯების კლასიფიკაცია, პროდუქციის თვითღირებულების ანალიზი, წარმოების მოცულობის, დანახარჯებისა და მოგების დამოკიდებულების ანალიზი, სამეურნეო სუბიექტის სააღრიცხვო პოლიტიკის შედგენა, სრული შემოსავლების ანგარიშგების შედგენა, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადება, ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგების მომზადების საკითხებს ეხება პროგრამის მხოლოდ ბოლო ოთხი შედეგი (მე-4, მე-5, მე-6, მე-7). პროგრამის პირველი სამი შედეგი წარმოადგენს მმართველობითი აღრიცხვის კომპონენტებს, ამდენად **ქვესტანდარტი 1.2 დარღვეულია.**

ქვესტანდარტი 1.3

პროგრამის მიზნებში აღწერილი უნარები რიგ შემთხვევებში აღემატება პროგრამის სწავლის შედეგების შინაარსს, მაგალითად: ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით შექმნილი ფინანსური ანგარიშგების კომპონენტის ანალიზი და ბიზნესის შეფასება ცალსახად სხვა უნარია და აღემატება პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამაში აღნიშნულთან თავსებადია მე-5 - მე-7 სწავლის შედეგების შინაარსი, სადაც საუბარია ცალკეული ანგარიშგების შედგენა/მომზადებაზე და არ ითვალისწინებს მათ ანალიზსა და ბიზნესის შეფასებას.

ინტერვიუს დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მათი თავდაპირველი მიდგომა, მხოლოდ ფინანსურ განათლებაზე ფოკუსირება იყო, რაც უზრუნველყოფდა მიზნის შესაბამისობას პროგრამით მისაღწევ სწავლის შედეგებთან. თუმცა, დამსაქმებლებთან საუბრის შემდეგ გადაწყვიტეს სწავლის შედეგების გამრავალფეროვნება, რამაც განაპირობა აღნიშნული ხარვეზი. **ქვესტანდარტი 1.3 დარღვეულია.**

ქვესტანდარტი 1.4

პროფესიული მომზადების პროგრამაზე - „ფინანსური ანგარიშგების მომზადება“ მსმენელთა დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. პროგრამის აღწერილობაში აღნიშნულია, რომ პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც აქვს სურვილი მოკლე დროში მიიღოს კონკრეტული ცოდნა/უნარები.

ექსპერტის შეფასებით, 7 კვირის განმავლობაში 15 საათიანი სასწავლო დატვირთვა ვერ უზრუნველყოფს სრული ზოგადი განათლების მქონე პირისათვის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ზემოაღნიშნულ დროში მიღწევა და სასწავლო თემატიკის დამლევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ბუღალტრული და ფინანსური აღრიცხვის მიმართულების წინარე ცოდნა-უნარებით აღჭურვილი მსმენელებისათვის. **ქვესტანდარტი 1.4 დარღვეულია.**

ქვესტანდარტი 1.5

პროფესიული მომზადების პროგრამით - „ფინანსური ანგარიშგების მომზადება“ განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონეს, რაც სწორადაა განსაზღვრული დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამაში.

ქვესტანდარტი 1.6

პროფესიული მომზადების პროგრამით - „ფინანსური ანგარიშგების მომზადება“ განსაზღვრულია შემდეგი სწავლის შედეგები:

1. დანახარჯების კლასიფიკაცია

2. პროდუქციის თვითღირებულების ანალიზი
3. წარმოების მოცულობის, დანახარჯებისა და მოგების დამოკიდებულების ანალიზი
4. სამეურნეო სუბიექტის სააღრიცხვო პოლიტიკის შედგენა
5. სრული შემოსავლების ანგარიშგების შედგენა
6. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადება
7. ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენა

პროფესიული მომზადების პროგრამით - „ფინანსური ანგარიშგების მომზადება“ განსაზღვრულია სწავლის შედეგებით ფორმულირება მოიცავს ცოდნა-გაცნობიერებას, უნარებსა და კომპეტენციას.

ქვესტანდარტი 1.7

პროგრამის ხანგრძლივობა, მოცულობა და მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატური არაა.

პროფესიული მომზადების პროგრამა - „ფინანსური ანგარიშგების მომზადება“ დაგეგმილია 7 კვირის განმავლობაში, სასწავლო დატვირთვა კვირაში შეადგენს 15 საათს, რომელიც ასევე მოიცავს განმსაზღვრელი შეფასების საათებს. პროგრამით განსაზღვრული თემატიკის სირთულის, მოცულობისა და მსმენელთა წინარე განათლების (პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შეადგენს სრულ ზოგად განათლებას) გათვალისწინებით, პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა არასაკმარისია. **ქვესტანდარტი 1.7 დარღვეულია.**

ქვესტანდარტი 1.8

პროფესიული მომზადების პროგრამაში „ფინანსური ანგარიშგების მომზადება“ მითითებულია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორცაა ინტერაქტიული ლექცია და პრაქტიკული სავარჯიშო, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, ინტერვიუების პროცესში პროგრამის განმახორციელებლებმა აღნიშნეს, რომ პროფესიული მომზადების პროგრამაში გამოიყენებენ სწავლების მეთოდს - პრაქტიკული დავალებები, რაც პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელს გაუადვილებს სწავლების პროცესს და ათვისებული მასალის პრაქტიკაში გამოყენებას.

ქვესტანდარტი 1.9

პროფესიული მომზადების პროგრამა „ფინანსური ანგარიშგების მომზადება“ ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, ვინაიდან პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დაგეგმილია დაწესებულების იმიტირებულ სამუშაო გარემოში, პრაქტიკული მეცადინეობების გზით.

ქვესტანდარტი 1.10

პროფესიული მომზადების პროგრამა შეფასებისთვის იყენებს შეფასების მიმართულებას - პრაქტიკული დავალება, რაც შესაბამისობაშია სწავლის შედეგების შინაარსთან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შიდა მარეგულირებელი აქტის - პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების მე-4 მუხლში გაწერილია მსმენელის შეფასების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს შეფასების სახეებისა და მათი დეფინიციის განმარტებას, სწავლის შედეგების განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასებისა და აპელაციის პროცესის ორგანიზების პროცედურულ საკითხებს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პირველ სტანდარტთან მიმართებით ოთხი ხარვეზია სახეზე: პროგრამის სახელწოდება, მიზნები, დაშვების წინაპირობები და დრო, რაზედაც ყურადღება გაამახვილა ასევე საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმაც.

საბჭოს თავმჯდომარეს, პირველ რიგში, აინტერესებდა საკითხი პროგრამის მისაღწევ შედეგებთან დაკავშირებით და სთხოვა ექსპერტს, დარეჯან კვატაშიძეს, ესაუბრა ამასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებას აღებული აქვს ბუღალტრული აღრიცხვიდან ორი მოდული, რომლებიც დიდად განსხვავდება ერთმანეთისგან. „მმართველობით აღრიცხვის“ შესწავლას დიდი დრო სჭირდება. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად მითითებულია საშუალო განათლება, თუმცა მისი მოსაზრებით, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები მაინც უნდა იცოდეს მსმენელმა, რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადება შეძლოს. დაშვების წინაპირობის პრობლემატიკასთან ერთად, იმდენად ცოტა დრო ეთმობა პროგრამას, რომ შეუძლებელია სწავლის შედეგების მიღწევა.

თორნიკე თოხაძემ აღნიშნა, რომ პროგრამა პრაქტიკასაც მოიცავს, დაინტერესდა, რამდენად შესაძლებელია პრაქტიკულად კეთება, თუ ვერ მიიღებს მსმენელი სათანადოდ საკმარის თეორიულ ცოდნას. ექსპერტმა დაუდასტურა, რომ პრაქტიკას მოიცავს პროგრამა, მაგრამ თეორიული ცოდნის გარეშე ვერ შეასრულებს პრაქტიკულ სამუშაოს მსმენელი.

საბჭოს თავმჯდომარემ დარგის ექსპერტს სთხოვა განმარტება პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებული ხარვეზის შესახებ. ექსპერტმა უპასუხა, რომ პროგრამა შინაარსობრივად ითვალისწინებს მმართველობით აღრიცხვასაც, ამ შემთხვევაში ეს სახელწოდებაშიც უნდა იყოს ნახსენები, მაგრამ არ არის.

მარიკა ზაქარეიშვილი დაინტერესდა, როდესაც ამ პროგრამაში ასახული თემატიკა და სწავლი შედეგების უმეტესობა არ შეესაბამება პროგრამის სახელწოდებას, თვითონ რისი მიღება სურს ორგანიზაციას, საინტერესოა ვინ უნდათ მოამზადონ. თორნიკე თოხაძესაც აინტერესებდა ორგანიზაციის პოზიცია ამ საკითხზე.

ექსპერტმა აღნიშნა, შედეგზე რომ გავიდნენ, ამისათვის აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადება. შეხვედრისას აღნიშნეს, რომ მათ უნდათ მსმენელმა შეძლოს საწარმოსთვის ანალიზის გაკეთება მოგებაზე, ხარჯებზე, რენტაბელობაზე, მაგრამ ეს ყველაფერი ამ დროში არარეალურია. დაშვების წინაპირობა უნდა შეიცვალოს და დრო ან სასურველია, მმართველობითი აღრიცხვის ნაცვლად სხვა რამ ასწავლონ, ისე რომ თეორიული ნაწილი იყოს პროგრამის საწყის ეტაპზე, რომ მერე პრაქტიკულად ფინანსური ანგარიშგების მომზადება შეძლონ მსმენელებმა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, სათაური, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, ხანგრძლივობა თუ შეიცვლება, ამ შემთხვევაში რას ფიქრობს ექსპერტი და სწავლის 7 შედეგი ლოგიკურად თუ არის ჩამოყალიბებული.

ექსპერტის მოსაზრებით, პროგრამის ხანგრძლივობა თუ გაიზრდება და სათაურშიც შევა ცვლილება, რაიმე სახით დაემატება მმართველობითი აღრიცხვა, მაშინ შესაძლებელია, რადგან ორგანიზაციის საბოლოო მიზანია კურსდამთავრებულმა შეძლოს საბოლოოდ ანალიზის გაკეთება, თუმცა შედეგებთან მიმართებით, მთლად მართებული არ არის, იმიტომ რომ ორი სხვადასხვა თემაა გაერთიანებული სწავლის შედეგებით.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს მიმართა, თუ პრაქტიკაში პირს მოეთხოვება მსგავსი ტიპის უნარების ქონა, რატომ არ არის მიზანშეწონილი ამ ორი მიმართულების ერთ პროგრამაში სწავლება. დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადება, ეს არის უმეტესად ორგანიზაციის, საწარმოს აქტივები, ვალდებულებები, კაპიტალი. მმართველობითი აღრიცხვა კი არის უფრო წვრილად, ანალიზური ხარჯები, დანახარჯები პროდუქციის მოსამზადებლად და ა.შ.

თორნიკე თოხაძის აზრით, ამ ორ მიმართულებას პროგრამაში რაღაც დამაკავშირებელი რგოლი აკლია და პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შეცვლა არ აღმოფხვრის ამ ხარვეზს.

მარკა ზაქარეიშვილი დაინტერესდა, რა ნაწილები/საკითხები უნდა დაემატოს ამ ჩამონათვალთან, ფინანსური ანგარიშგების პროგრამა რომ მომზადდეს.

შეიძლება დაემატოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, რომლებიც სწავლობს აქტივებს, ვალდებულებებს, კაპიტალს, იმ თემებს, რის შემდეგ ფინანსური ანგარიშგება უნდა მოამზადოს, უპასუხა ექსპერტმა. მისი აზრით უნდა შეიცვალოს პროგრამის საფუძველი - მოდული „მმართველობითი აღრიცხვა“.

კომენტარი გააკეთა ნანი დალაქიშვილმა. მან აღნიშნა, რომ პირველ პროგრამას (რომელზეც საბჭომ იმსჯელა წინა წარმოების ფარგლებში და არ მიაჩნია განხორციელების უფლება) სულ სხვა სახელი ერქვა „ბიზნესის ადმინისტრირება და ფინანსური მენეჯმენტი“. თითქოს გასული იყო იმ სივრციდან, რასაც ჩვენი უფლებამოსილება ეხება, დონეც სადაო იყო და მისაღწევი შედეგებიც. ამდენად, ვერ მიიღეს პროგრამის განხორციელების უფლება. მაშინ შინაარსობრივად სხვა შედეგები იყო და შესაბამისად სხვა დარგის ექსპერტიც, როგორც ჩანს, დაწესებულებას გაუჭირდა ჩვენი რეკომენდაციების შემდეგ ახალი, განსხვავებული პროგრამის გაკეთება.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა საბჭოს სხდომაზე დაგვიანების მიზეზი. გაუგებრობა მოხდა, საბჭოს სხდომაზე მოწვევის წერილში 12 აპრილი იყო მითითებული, ამდენად დაწესებულების მხრიდან მხოლოდ ის წარმომადგენს დაწესებულებას, დარგის კომპეტენციის მქონე განმახორციელებელი პირები არ იყვნენ ინფორმირებული და ვერ ესწრებიან სხდომას. ითხოვა შუამდგომლობა საკითხის განხილვის გადადებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკითხი წინა საბჭოზეც უნდა ყოფილიყო განხილული და ორგანიზაცია მზად უნდა ყოფილიყო, შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციითაც შეუძლია იმსჯელოს საბჭომ, არ არიან კანონით ვალდებულები, რომ აუცილებლად გადადონ საკითხი და დაწესებულება რომც არ ესწრებოდეს, შეუძლიათ მაინც მიიღონ გადაწყვეტილება.

ლანა გაჩეჩილაძემ განმარტება გააკეთა, მან თქვა, რომ ტექნიკური უზუსტობა იყო გაგზავნილ წერილში, 2 რიცხვის მაგივრად 12 ეწერა და ამის გამო ცენტრი იღებს პასუხისმგებლობას, რომ არ იყო დაწესებულება ინფორმირებული, რაც შეეხება გადაწყვეტილებას, საკითხი წინა სხდომაზე გადაიდო დროის სიმცირის გამო. რაც შეეხება ხარვეზებს, ეს ეხება პროგრამის სტანდარტს და დაწესებულებამ დამატებით რა არგუმენტებიც არ უნდა წარმოადგინოს სიტყვიერად, ცალსახად დოკუმენტის მიხედვით ხარვეზი დარჩება ხარვეზად. იზიარებს საბჭოს მოსაზრებას, საბჭოს აქვს უფლებამოსილება, დასწრების გარეშეც გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, გასაგებია საბჭოს არგუმენტაცია ამ საკითხთან დაკავშირებით და რადგან ამ პროგრამაზე გუნდი მუშაობდა, მისთვის მნიშვნელოვანია გუნდი ისმენდეს ამ გადაწყვეტილებას. შენიშნა, რომ მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია მსგავსი ტიპის პროგრამების განხორციელება. მეორე მცდელობაა მათთვის ამ პროგრამის წარმოდგენის, პირველ შემთხვევაში უარი ეთქვათ, ეცადნენ იმ პირველი გამოცდილების გათვალისწინებით წარმოედგინათ ახალი პროგრამა. აღნიშნა, რომ თუ საბჭო მისცემს ორგანიზაციას ხარვეზის გამოსწორების ვადას, წარმომადგენენ კორექტირებულ პროგრამას.

საბჭოს თავმჯდომარემ თქვა, რომ საკითხის გადადების საჭიროება არ არის. მაგლობა გადაუხადა დაწესებულებას, რადგან მეორედ შემოიტანეს განაცხადი და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აქვთ სურვილი და მოტივაცია, ეს პროგრამა განახორციელონ, მაგრამ დაფიქსირებულია ხარვეზები პირველ სტანდარტში, რომელიც საჭიროებს გამოსწორებას.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პროგრამასთან დაკავშირებული ხარვეზების გამოსასწორებლად ორგანიზაციისთვის 30 დღიანი ვადის მიცემის საკითხი.

საბჭოს წევრები დაეთანხმნენ დაწესებულებისათვის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად ვადის მიცემას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

მიეცეს დაწესებულებას ერთთვიანი ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად.

ნიკოლოზ მესხიშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, რომ მაქსიმალურად გაითვალისწინონ ყველა გაჟღერებული რეკომენდაცია, რომ ხელმეორედ არ მოუწიოს საბჭოს წევრებსაც და მათაც დისკუსია. ფიქრობს, ძალიან კარგად არის ფორმულირებული ხარვეზები დასკვნაში და სრულიად ნათლად შეუძლიათ გაითვალისწინონ და ასახონ ეს ცვლილება პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს. მათი მიზანია და ისინი ეცდებიან მაქსიმალურად კარგად წარმოადგინონ დაკორექტირებული პროგრამა, რათა შემდეგ მოხდეს ამ პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დასრულების შემდეგ, 17:30 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

